საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება № 69

11 02 2016 წ.

ქ. თბილისი

„მასწავლებლის განათლების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 24 ოქტომბრის №923 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2016 წლის 9 თებერვლის №115354 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. „მასწავლებლის განათლების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2011 წლის 24 ოქტომბრის №923 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება და ბრძანების:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „**მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შესახებ**“;

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი დანართის შესაბამისად.“;

გ) დანართი ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოებისა და მომსახურების განყოფილებას კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების, მათ შორის, ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ, №6).

დირექტორი გიორგი შარვაშიძე

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი

მუხლი 1. სფეროს აღწერა

მასწავლებლის პროფესია განეკუთვნება რეგულირებად საგანმანათლებლო პროგრამათა რიცხვს, რაც ხაზს უსვამს მის მნიშვნელობას. კვალიფიციური მასწავლებლის მომზადება სახელმწიფოსა და განათლების სფეროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია.

მასწავლებლის განათლების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი ეფუძნება მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს, ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და მოქმედ კანონმდებლობას.

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის მიზანია:

- ხელი შეუწყოს მასწავლებლის მომზადებისათვის ისეთი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და დანერგვას, რომლებიც შეესაბამება საერთაშორისო საგანმანათლებლო მოთხოვნებს;
- მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული წარჩინებული მასწავლებლის მახასიათებლების მქონე მასწავლებლების მომზადებას;
- უზრუნველყოს მასწავლებლის განათლების პროგრამების მაქსიმალური მოქნილობა;
- უზრუნველყოს სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამის შექმნა;
- უზრუნველყოს აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლა-სწავლების მაღალი ხარისხი.

მუხლი 2. მასწავლებლის მომზადების გზები

მასწავლებლის მომზადების ბაკალავრიატის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ხდება დაწყებითი საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის მომზადება, ხოლო საბაზო/საშუალო საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის მომზადება შესაძლებელია როგორც ბაკალავრიატის ფარგლებში, ასევე - დამოუკიდებლად.

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის დაწყებითი საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულს ენიჭება განათლების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საბაკალავრო პროგრამაში/პროგრამებში მასწავლებლის მოსამზადებელი 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის ინტეგრირებით ხორციელდება საბაზო/საშუალო საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის მომზადება. უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს - „ბაკალავრი", შესაბამისი მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით და მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაცია აისახება ბაკალავრის დიპლომსა და დიპლომის დანართში. ასევე გაიცემა მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი.

მუხლი 3. საგანმანათლებლო პროგრამები და სწავლის შედეგები

1. მასწავლებლის მომზადების ბაკალავრიატის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება დაწყებითი საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის მომზადება მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს, საიდანაც მინიმუმ 180 კრედიტი ეთმობა დაწყებითი საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის პროფესიისათვის აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავებას. 60 კრედიტის საგანმანათლებლო პროგრამაში კომბინირება შესაძლებელია დაწესებულების მიერ დადგენილი წესით, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად.

2. მასწავლებლის მომზადების ბაკალავრიატის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება საბაზო/საშუალო საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის მომზადება, ხორციელდება ბაკალავრიატის საფეხურზე არანაკლებ 240 კრედიტით, საიდანაც მინიმუმ 120 კრედიტი ეთმობა ძირითად სპეციალობას, 60 კრედიტი მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას. 60 კრედიტის საგანმანათლებლო პროგრამაში კომბინირება შესაძლებელია დაწესებულების მიერ დადგენილი წესით, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად.

3. საბაზო/საშუალო საფეხურის სახელოვნებო საგნის მასწავლებელს მომზადებას სჭირდება ბაკალავრიატის საფეხურის სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 240 კრედიტი, საიდანაც მინიმუმ 120 კრედიტი ეთმობა ძირითად სპეციალობას, 60 კრედიტი - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას. 60 კრედიტის საგანმანათლებლო პროგრამაში კომბინირება შესაძლებელია დაწესებულების მიერ დადგენილი წესით, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად.

4. საბაზო/საშუალო საფეხურის სპორტის საგნის მასწავლებლის მომზადება ხორციელდება ბაკალავრიატის საფეხურის სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 240 კრედიტით, საიდანაც მინიმუმ 120 კრედიტი ეთმობა ძირითად სპეციალობას, 60 კრედიტი - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას. 60 კრედიტის საგანმანათლებლო პროგრამაში კომბინირება შესაძლებელია დაწესებულების მიერ დადგენილი წესით, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად.

5. სამხედრო საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს შესაბამისი სამხედრო განათლება, უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და გავლილი ჰქონდეს 60 კრედიტიანი მასწავლების მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, ინტეგრირებულად ან დამოუკიდებლად.

მუხლი 4. მასწავლებლის მომზადება ბაკალავრიატის შემდეგ

1. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ან შესაბამისი სამხედრო/სასპორტო პროფესიული განათლების მქონე პირს.

2. მასწავლებლის მომზადების დამოუკიდებლად არსებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის/საგნობრივი ჯგუფის ბაკალავრის/მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც საგნობრივი კომპეტენცია დადასტურებული აქვს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდით; ასევე, სამხედრო/სასპორტო პროფესიული განათლების მქონე პირი.

3. მასწავლებლის მომზადების დამოუკიდებლად არსებულ საგანმანათლებლო პროგრამისათვის განსაზღვრული კრედიტების საერთო რაოდენობიდან არანაკლებ 10 კრედიტი უნდა დაეთმოს სასკოლო პრაქტიკის კომპონენტს.

4. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შემთხვევაში გაიცემა შესაბამისი სერტიფიკატი.

5. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს და ისწავლება არანაკლებ 1 სასწავლო წლის განმავლობაში.

მუხლი 5. სწავლის შედეგები

1. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის/მასწავლებლის მომზადების დამოუკიდებლად არსებული 60-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება	- გაცნობიერებული აქვს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები; - იცის საგნის/საგნობრივ ჯგუფის სწავლის, სწავლებისა და შეფასების მეთოდები; - აქვს პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური თეორიების ცოდნა და შეუძლია ამ თეორიების კრიტიკულად გაცნობიერება; - იცის ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპები; - იცის როგორ დაგეგმოს, წარმართოს და შეაფასოს სასწავლო პროცესი; - იცნობს საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის სამართლებრივ საფუძვლებსა და სტურუქტურას; - იცის როგორ შექმნას ჯანსაღი. უსაფრთხო და წამახალისებელი გარემო.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება	- შეუძლია სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად; - შეუძლია სწავლებისა და შეფასების სხვადასხვა მეთოდის გამოყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით; - შეუძლია სპეციალურ მასწავლებელთან თანამშრომლობით სპეციალური საგანმანათლებლო საჭროების მქონე მოსწავლეებისათვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნა და სასწავლო პროცესის მართვა; - შეუძლია სწავლისა და განვითარების თეორიების გამოყენება პრაქტიკულ საქმიანობაში, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვისათვის; - შეუძლია მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება; - შეუძლია უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა; - აქვს მოსწავლეთა საჭიროებების განსაზღვრისა და მასზე რეაგირების უნარი; - აქვს მოსწავლეებისა და მშობლებისათვის პედაგოგიური კონსულტაციის გაწევის უნარი.
დასკვნის უნარი	- საკუთარი პრაქტიკის კვლევის/ანალიზის/შეფასების საფუძველზე შეუძლია ინდივიდუალური პროფესიული განვითარების დაგეგმვა და სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების სტრატეგიის ჩამოყალიბება;

	- შეუძლია პროფესიული სიტუაციების ანალიზი, მოსალოდნელი შედეგების განჭვრეტა და დასკვნის გაკეთება.
კომუნიკაციის უნარი	- შეუძლია პროფესიულ საკითხებზე კომუნიკაცია კოლეგებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან; - შეუძლია სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან გასაგებ და აკადემიურ დონეზე წერილობითი და ზეპირი კომუნიკაცია; - აქვს სასწავლო პროცესში თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი.
სწავლის უნარი	- აქვს უწყვეტი პროფესიული განვითარების საჭიროებების გაცნობიერებისა და დამოუკიდებლად სწავლის უნარი; - შეუძლია საკუთარი პედაგოგიური ცოდნისა და უნარების განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.
ღირებულებები	- იცნობს მასწავლებლის ეთიკის კოდექსს და მოქმედებს მის შესაბამისად; - ხელს უწყობს მოსწავლეებში ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული ღირებულებების დამკვიდრებასა და განვითარებას; - აქვს როგორც ლოკალურ, ისე ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე პროფესიული ფასეულობებისა გაზიარებისა და პრაქტიკაში რეალიზების უნარი.

2. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პოგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებულ წარჩინებული მასწავლებლის მახასიათებლებთან და მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით გათვალისწინებული უფროსი მასწავლებლის სტატუსით გათვალისწინებულ შედეგებთან.